პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 143 (4137)

1970 წ. 23 ივლისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## -20°

✦ ყაზბეგი, 22 ივლისი (ტელეფონით). ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, აშშ-სა და სსრ კავშირის 30-ზე მეტმა ახალგაზრდა მეცნიერმა დაიპყრო გუშინ მყინვარწვერი (5047 მ). ესენი არიან მონაწილეები სამეცნიერო-სპორტული ალპინიადისა, რომელიც მეორე წელია იმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით. მთამსვლელთა შორის იყვნენ ბელორუსიის, უკრაინის, ყირგიზეთის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები. ალპინიადის დროს საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები, სპორტულ მეცადინეობასთან ერთად, აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს განიხილავდნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ...

# საკავშირო უნივერსიადა

## დღეგამოშვებით

დონის როსტოვი, 22 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს კალათბურთელი ქალები დღეგამოშვებით თამაშობენ კარგად: ერთი მოგება, ერთი წაგება — ასეთია მათი „გრაფიკი" ტურნირში. ამჯერად მათ დაამარცხეს აზერბაიჯანის კოლექტივი — 87:51. ქვეჯგუფში ჩვენებს სათამაშო დარჩათ მატჩი მოსკოვის გუნდთან.

ფრენბურთელმა ქალებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს, ამჯერად უზბეკეთის სტუდენტთა ნაკრებთან — 3:1. ქვეჯგუფში მათ სამი მატჩი მოიგეს და მხოლოდ ერთი წააგეს. დარჩა კიდევ ერთი მატჩი და ფინალის საგზური განაღდებული ექნებათ.

ფრენბურთელმა ვაჟებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს — მოსკოვის კოლექტივთან (3:0).

რაც შეეხებათ ჩვენს ხელბურთელებს, მორიგი ტური მათთვის მეტად უიღბლო გამოდგა: ქალთა გუნდი დამარცხდა ლენინგრადის კოლექტივთან (10:19), ვაჟებმა წააგეს ბელორუსიელებთან — 18:20. დღეს კი ვაჟთა გუნდმა ქვეჯგუფში თავისი ბოლო მატჩი ყაზახეთის გუნდთან ჩაატარა და გაიმარჯვა — 16:15.

●

## მშვილდოსანთა III ადგილები

საქართველოს მშვილდოსანმა ქალებმა და ვაჟებმა მეორე ეტაპზეც III ადგილები მოიპოვეს. საერთო გუნდურ ჩათვლაშიც და ორივე ეტაპის ჯამშიც მათ, რა თქმა უნდა, III ადგილი ხვდათ. გაგვისწრეს მხოლოდ უკრაინისა და მოსკოვის წარმომადგენლებმა.

ჩვენი გუნდი მთლიანად ქუთაისელი სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. ესენი არიან: ქალები — ქ. ლოსაბერიძე, გ. რიჟამაძე, დ. არეშიძე, ლ. კურტანიძე, ვაჟები — ე. არველაძე, ვ. სოხაძე, ბ. ქორიძე და დ. ფილიშვილი. გუნდის მწვრთნელია შ. ჯაშიაშვილი.

ზოგიერთმა მოასპარეზემ საქართველოს რეკორდზე უკეთესი შედეგით დაამთავრა ბრძოლა. მაგალითად, არველაძემ სამი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა: 70-მეტრიან დისტანციაზე 269 ქულა დააგროვა (არველაძის წინანდელი რეკორდი 246 ქულა იყო), პირველი ეტაპის ოთხივე ვარჯიშშიც სარეკორდო მაჩვენებელი ჰქონდა (1110 ქულა) და სარეკორდო ქულები დააგროვა ორივე ეტაპის ჯამშიც — 1902.

ორი რესპუბლიკური რეკორდის ავტორი გახდა ქეთევან ლოსაბერიძე. 70 მეტრზე შეჯიბრებაში მან 228 ქულა მიიღო (ძველი რეკორდი — 196), ხოლო 60 მეტრზე — 229 ქულა, რაც ძველ მიღწევას 12 ქულით აღემატება.

13 სახეობის შემდეგ პირველი ექვსეულის გუნდური შედეგები ასეთია:

| | |
|---|---|
| რსფსრ | 1881 ქულა |
| უკრაინა | 1528 |
| მოსკოვი | 1316 |
| ლენინგრადი | 1022,5 |
| ბელორუსია | 878,5 |
| საქართველო | 794,5 |

●

## ვერცხლის მედალი მოიპოვა

უნივერსიადის ვერცხლის მედალი დაისაკუთრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა დალი საბაურმა, რომელმაც შუბი 49,98 მეტრზე ტყორცნა.

უნივერსიტეტელი ლარისა შუმილინა ხუთჭიდში მეოთხე იყო (4138 ქულა), მაგრამ გუნდს III ადგილი მოუპოვა ამ სახეობაში. ამავე სახეობაში VI ადგილზეა თ. კლდიაშვილი — 3990 ქულა.

სიგრძეზე ხტომაში IV ადგილზეა ც. ჩოლიაშვილი. იგი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც 6-მეტრიანი ზღვარი გადალახა — 602 სანტიმეტრზე გადახტა.

მძლეოსნებმა შეჯიბრება დაამთავრეს. საქართველოს ნაკრებმა 174 ქულით VI ადგილი დაიკავა. I ადგილზეა ლენინგრადი (478), II — რსფსრ (466), III — მოსკოვი (450), IV — უკრაინა (414), V—ბელორუსია (293).

●

## მეოთხედფინალში — მხოლოდ სამნი

ჩოგბურთელებმა მერვედფინალური შეხვედრები ჩაატარეს. მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ფარსადანოვამ და პაპაიანმა. პირველმა დაამარცხა რსფსრ-ს წარმომადგენელი მალიკოვა (6:0, 6:4), პაპაიანმა — თანაგუნდელი გოგუა — 6:3, 6:2. მგალობლიშვილმა წააგო გოლდენბერგთან (რსფსრ) — 2:6, 6:4, 1:6.

ვაჟთა შეჯიბრების მეოთხედფინალში საქართველოს გუნდის წევრებიდან მხოლოდ პერეგუდოვი გავიდა. ძმებმა ვ. და პ. აბაშკინებმა მერვედფინალში ფარ-ხმალი დაყარეს.

ჯ. ენუქიძე.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ც. ჩოლიაშვილი ასპარეზობის დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.







ნორჩმა თბილისელმა ტანმოვარჯიშემ, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან არსებული ბავშვთა სპორტული სკოლის აღსაზრდელმა ნინო დრონოვამ (მწვრთნელები ს. ბურჭანაძე და ვ. კლიმოვა) აგერ ორი წელია მიიპყრო სპორტის ამ სახეობის სპეციალისტთა ყურადღება. რაც დრო გადის, მით უფრო იხვეწება მისი ოსტატობა. ამას წინათ ნინომ საერთაშორისო ნათლობა მიიღო — მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გოტვალდოვში გამართულ სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაში — „მეგობრობა".

აქ დრონოვას ოსტატობამ ყველა მოხიბლა. განსაკუთრებით კარგად ივარჯიშა მან ორძელზე და პირველობაც დაისაკუთრა.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ნორჩ ტანმოვარჯიშე ნ. დრონოვას.

ს. ჯანიაშვილის ფოტო.

## ქულებიც, სიმპათიაც...

ლონდონი, 22 ივლისი. უმაღლეს პილოტაჟში VI მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა ბაზაზე მიმდინარეობს ჰალავინგტონში (უითშირის საგრაფო), კვლავინდებურად ლიდერობენ საბჭოთა მფრინავები.

დამთავრდა პროგრამის მესამე სახეობა — ნებისმიერი ვარჯიშები. წინასწარი გამოთვლით, უმაღლესი ნიშნები კვლავ საბჭოთა სპორტსმენებმა ი. ეგოროვმა და ზ. ლიზუნოვამ უნდა მიიღონ. ორი სახეობის (სავალდებულო პროგრამა და „ბნელი" კომპლექსის ვარჯიშები) შემდეგ ვაჟებში დაწინაურდა ეგოროვი, რომელმაც 104 ქულით ჩამოიტოვა ამერიკელი ჰერენდენი. ქალთა შორის საბჭოთა სპორტსმენები არიან წინ: I ადგილზეა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ს. სავიცკაია, II — ლიზუნოვა, III — ს. პოდოლიაკი.

24 ივლისს ჩემპიონატის ფინალია, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მფრინავებმა თავიანთი გამოსვლებით არა მარტო უმაღლესი ქულები დაიმსახურეს, არამედ ინგლისელთა სიმპათიაც მოიხვეჭეს, რომელთაც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებათ.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

ბიტოლი, 22 ივლისი. სსრ კავშირის სტუდენტ ფეხბურთელთა ნაკრებმა იუგოსლავიის ამ ქალაქში ანგარიშით 3:1 (1:1) დაამარცხა სლოვაკიის ნაკრები და სტუდენტთა შორის ევროპული პირველობის ნახევარფინალში გავიდა.

მალმე, 22 ივლისი. ცნობილმა შვედმა მძლეოსანმა რ. ბრუხმა ბადრო 67,14 მეტრზე ტყორცნა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში. ბრუხის ბოლოდროინდელი პროგრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ამერიკელი ჯ. სილვესტრის მსოფლიო რეკორდის (68,40 მ) დამხობას აპირებს.

ვარშავა, 22 ივლისი. პოლონეთის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ვარშავის საქალაქო-სახალხო საბჭოს თავმჯდომარისა და გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის" რედაქციის თასი დაისაკუთრა. ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში II ადგილზე გავიდა რსფსრ-ს ნაკრები, რომელმაც ბოლო დღეს დაამარცხა სლოვაკიის გუნდი — 3:0 (15:2, 15:8, 15:10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას — ღირსეული შეხვედრა!

# სამზადისისთვის ბრძოლა დაიწყო

წყალში მხტომელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა თბილისის „ლოკომოტივის" საცურაო აუზზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადებაში. ამ დიდი ფორუმის საგზური რომ მიიღოს, სპორტსმენმა 1970-71 წლების მანძილზე ერთხელ მაინც უნდა შეასრულოს სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეს ასპარეზობა იმითაც იყო საყურადღებო, რომ სარბიელზე ამ საგზურის მაძიებელ ნაკრების კანდიდატთა უმრავლესობა გამოვიდა. ჩვენი სპორტსმენები სავალდებულო პროგრამას შედარებით კარგად ასრულებენ. ახლა ყველას აინტერესებდა, როგორ დაძლევდნენ ისინი თავიანთ „აქილევსის ქუსლს" — ნებისმიერ ვარჯიშებს.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ნაკრები გუნდის კანდიდატთა წარმოდგენილმა ვარჯიშებმა ყურადღება მიიქცია სიახლითა და სირთულით, თუმცა პროგრამა საბოლოოდ დახვეწილი არ არის. ოქტომბრის პირველი რიცხვებისთვის ნაკრების ყველა წევრს სწორედ ის ვარჯიშები ექნება დამუშავებული, რომლებითაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამოსვლა მოუწევს. მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა კარგად იციან, რომ მომავალ სპარტაკიადაში წარმატებისთვის აუცილებელია ნებისმიერი პროგრამის კარგად ათვისება, რადგან ამა თუ იმ მხტომელის ძალის საერთო შეფასებაში სწორედ ამ ვარჯიშებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის პირველი გუნდის წევრები მთელი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენ მეტოქეებზე. თბილისის მეორე გუნდის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წარმომადგენლებს ისღა დარჩენოდათ, რომ II და III საპრიზო ადგილების მოპოვებისთვის ეზრუნათ.

ჩემპიონატი სამივე სახეობაში გათამაშდა. 1-მეტრიან ტრამპლინზე ქალთა პირად ჩათვლაში თბილისის პირველი ნაკრების წევრებს დიდი უპირატესობით ხვდათ სამივე საპრიზო ადგილი. თანაგუნდელებს თავიდანვე დამაჯერებლად გამოეყო სპორტის ოსტატი ა. კალიაგინა. საბოლოოდ მან I ადგილი მოიპოვა და ოსტატის ნორმატივზე უკეთესი ჯამიც (432,7 ქულა) დააგროვა. ეს იყო მორიგი, მე-18 გამარჯვება კალიაგინას სპორტულ ბიოგრაფიაში.

ნ. ცოცხალაშვილმა 375,5 ქულა მოაგროვა. მესამე იყო ნ. კუპრიანოვა — 371,5.

კალიაგინამ 3-მეტრიან ტრამპლინზეც ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგით დაამთავრა ასპარეზობა — 460,6. კუპრიანოვა ამჯერად მეორე იყო (420,8), ცოცხალაშვილი კი მესამე (389,45). ცოცხალაშვილს ამ იარაღზე უკეთ გამოსვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ სწორედ ბოლო ვარჯიშის შესრულებისას შეეხო ტრამპლინს, ხელიც იტკინა და ძვირფასი ქულებიც დაკარგა. ტრავმის გამო იგი კოშკზე ასპარეზობას აღარც აპირებდა. მეორე დღეს ნელი ერთი საათით გვიან, გულშემატკივარივით მოვიდა აუზზე, მაგრამ ცდუნებამ სძლია და მწვრთნელის მხარდაჭერით კვლავ განაგრძო პაექრობა. ახლახან ცოცხალაშვილმა III საპრიზო ადგილი დაიკავა დონის როსტოვში შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობაში. როგორც ჩანს, მას ახლაც სჯეროდა თავისი ძალისა და ყველა ვარჯიში მართლაც ერთიმეორეზე უკეთ შეასრულა. განსაკუთრებით კარგი იყო ნებისმიერი პროგრამა. საბოლოოდ ცოცხალაშვილმა 315,15 ქულა მოაგროვა და ოსტატის ნორმატივიც აჩვენა.

თბილისის მეორე გუნდის წევრი ლ. კაზანცევა გამარჯვებულს მთელი 34,10 ქულით ჩამორჩა. ცოცხალაშვილის თანაგუნდელი ნ. კიშკო მესამე იყო — 276,7.

ვაჟთა შორის პირველობისთვის ბრძოლა მაინცდამაინც მწვავე არ ყოფილა. 10-მეტრიან კოშკზე თბილისის პირველი გუნდის წევრს კ. არუთინოვს სერიოზული მეტოქე არ ჰყოლია და მან სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგით (481,15 ქულა) გაიმარჯვა. თანაგუნდელი ა. ოსინინი არუთინოვს 80 ქულით ჩამორჩა. აჭარელ სპორტსმენს ა. ანთაძეს 303,65 ქულა აქვს და III ადგილზეა.

დანარჩენი საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1-მეტრიანი ტრამპლინი. 1. კ. იადრიშნიკოვი (აფხაზეთი) — 409,6 ქულა, 2. ი. კუპრიანოვი — 403,5, 3. ნ. პოგონია — 400,65 (ორივე — თბილისი I); 3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. ი. კუპრიანოვი — 449,65, 2. არუთინოვი — 445,60, 3. ს. ჩუნიხინი — 444,4. გუნდური ჩათვლა. 1. თბილისი I — 226 ქულა, 2. აფხაზეთი — 111, 3. თბილისი II — 64.

თ. გაჩეჩილაძე.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




## ცსკა — მერვედ თუ მეცხრედ?
## მოვერცხლილი ნევის ნაპირი
## რიგის არმიელებს თავი ქუდში აქვთ

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის 3 მატჩი.

მოსკოვი. ადგილობრივმა არმიელებმა კიევის „სტროიტელის" წინააღმდეგ ორთაბრძოლა 1970 წლის ჩემპიონის რანგში ჩაატარეს. მასპინძლებისთვის შეხვედრის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრესტიჟის მატჩი იყო მხოლოდ. „სტროიტელს" კი გამარჯვება რეალურად უხსნიდა გზას ვერცხლის მედლებისკენ.

ბრძოლის პირველ ნახევარში ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო. „სტროიტელის" თავგანწირვასა და მონდომებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია: არმიელებმა ტაიმი 13 ქულით მოიგეს.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა დროებით ხელთ იგდეს ინიციატივა, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მათ მოახერხეს, სხვაობის შემცირება იყო სამ ქულამდე (60:63). მატჩის დასკვნითი ნაწილი კვლავ მოსკოველთა უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც მოიგეს კიდეც ბრძოლა — 84:70.

ცსკა-ს წლევანდელი წარმატება სავსებით კანონზომიერია. გუნდმა ბრწყინვალედ ჩაატარა ძნელი ტურნირი და მხოლოდ სამჯერ დატოვა მოედანი დამარცხებულმა („სტროიტელთან" და მოსკოვის „დინამოსთან" პირველ წრეში, ლენინგრადის „სპარტაკთან" მეორე წრეში). არმიელებმა ძლიერად ითამაშეს თავდასხმაში. ისინი საიმედოდ მოქმედებდნენ დაცვაშიც (გადახედეთ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას).

1960 წლიდან მოყოლებული, ცსკა რვაჯერ იყო ჩემპიონი, მანამდე კი არმიელთა კოლექტივი კიდევ ორჯერ ფლობდა უძლიერესის ტიტულს: პირველად ოქროს მედლები მან 1945 წელს მოიპოვა, როცა ცდკა-დ იწოდებოდა, მეორედ კი 1952 წელს (მაშინ იგი ვვს-ის სახელს ატარებდა).

კაუნასი. „ჟალგირისმა" ლენინგრადის „სპარტაკს" უმასპინძლა. ბრძოლის ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 64:64. დაინიშნა დამატებითი პერიოდი, რომელმაც წარმატება მასპინძლებს მოუტანა — 72:70.

მარცხის მიუხედავად, ნევისპირელმა კალათბურთელებმა ვერცხლის მედლები გაინაღდეს. საქმე ისაა, რომ „სტროიტელი" დარჩენილ ოთხ შეხვედრაში წარმატების შემთხვევაში აგროვებს 25 ქულას, იმდენს, რამდენიც აქვს „სტროიტელს". ურთიერთშეხვედრებში კი „სპარტაკის" მდგომარეობა აშკარად უკეთესია. მან, ჯერ ერთი, სამიდან ორი მატჩი მოიგო და ბურთების სხვაობაც დადებითი აქვს (+3).

მაშ ასე, ლენინგრადის „სპარტაკმა" მეორედ დაიკავა საპრიზო ადგილი. შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორები წლეულს ვერცხლს დაეპატრონენ.

რიგა. ადგილობრივმა არმიელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ალმაათის „ლოკომოტივი" — 84:79. ლატვიელებმა 10 ქულა დააგროვეს და პრაქტიკულად, სულ ცოტა, X ადგილი გაინაღდეს (თუ თბილისის „ბურევესტნიკი" მოიგებს დარჩენილ ორ შეხვედრას, იგიც 10 ქულას დააგროვებს და სატურნირო ცხრილში რიგელებზე მაღლა დადგება, ვინაიდან ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვს).

აუტსაიდერებს — „ურალმაშსა" და „ლოკომოტივს" თეორიულად შეუძლიათ იმდენივე ქულა დააგროვონ, რამდენიც უკვე აქვს „ბურევესტნიკს". ამისთვის მათ უნდა მოიგონ ყველა შეხვედრა, მათ შორის, ფავორიტებთან — კიევის „სტროიტელთან", კაუნასის „ჟალგირისთან" და სხვ. მაგრამ საკმარისია თითო ბრძოლა წააგონ და მაშინ... ნახვამდის, უმაღლესო ლიგა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 31 | 28 | 3 | 2588—2159 | 28 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 33 | 25 | 8 | 2510—2204 | 25 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 29 | 21 | 8 | 2304—2097 | 21 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 31 | 21 | 10 | 2413—2337 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 31 | 19 | 12 | 2531—2401 | 19 |
| „კალევი" (ტარტუ) | 31 | 17 | 14 | 2445—2406 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 14 | 15 | 2305—2352 | 14 |
| ასკ (კიევი) | 29 | 10 | 19 | 2078—2158 | 10 |
| ასკ (რიგა) | 32 | 10 | 22 | 2380—2556 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 31 | 8 | 23 | 2231—2503 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 31 | 6 | 25 | 2284—2606 | 6 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 30 | 5 | 25 | 2201—2481 | 5 |

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ეროვნულ სახეობათა სარბიელი

ულან-უდე, 20 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში. ესაა ტრადიციული შეჯიბრება, რომელსაც ამ მხარის „მცირე ოლიმპიურ თამაშებს" ეძახიან.

სპარტაკიადის პროგრამაში შევიდა პოპულარული ეროვნული სახეობები — მშვილდოსნობა, იაკუტური ხტომები, ტუვური ჭიდაობა „ხურეში", ბურიატული ჭიდაობა „ბუხე-ბარილდაანი", აგრეთვე, საწონების აწევა.

ბურიატელ მშვილდოსანთა სიზუსტე საყოველთაოდ ცნობილია. ბევრი მათგანი რსფსრ-სა და „უროჟაის" ნაკრებ გუნდებში შედის. მათ ამჯერადაც გუნდური I ადგილი დაიკავეს. ამასთან, ვ. გუროვი ჩემპიონი გახდა ვაჟთა შეჯიბრებაში, 16 წლის ბ. სანდავკინმა კი ყველას აჯობა ჭაბუკთა შორის. ბრძოლა შეუპოვარი იყო. მაგალითად, აგის ნაციონალური ოლქის გუნდის ლიდერი, სპორტის ოსტატი მ. დაბაევი გუროვს სულ ერთი ქულით ჩამორჩა.

მოულოდნელი გამოდგა ბურიატულ ჭიდაობაში შეჯიბრების შედეგები. სამ წონით კატეგორიაში პირველობა დაისაკუთრეს ტუველმა მოჭიდავეებმა. ესენი არიან ოონდარი, ბაზარტარაა, მონღულ-ოოლი. გამარჯვება მხოლოდ 82 კგ-მდე წონით კატეგორიაში დაისაკუთრა სპარტაკიადის მასპინძელთა წარმომადგენელმა ი. ბობოევმა. მართალია, საერთო გუნდური პრიზი აქაც ბურიატეთის სპორტსმენებს ხვდათ.

ტუვური ჭიდაობის „ხურეშის" ოსტატებმა ჩულდუკმა და ოორჟაკმა ყველა მეტოქე დაამარცხეს. ორ სხვა კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვეს ბურიატეთის წარმომადგენელმა გ. მანჟეევმა და აგელმა ბ. ერდინეევმა.

მაყურებლები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს აგელი ნ. სანიკოვის გამოსვლას. სპარტაკიადამდე არც ისე დიდი ხნით ადრე მან რსფსრ-სა და იაკუტეთის რამდენიმე რეკორდი დაამყარა ეროვნულ ხტომებში და ახლა ულან-უდეშიც გამარჯვება მოიპოვა. ამასთან, „კილიიში" (11 ნახტომი ცალი ფეხით) მან 45,25 მეტრამდე გაზარდა რეკორდი. იაკუტელმა სპორტსმენებმა ყველას აჯობეს საწონების აწევაშიც.

გამარჯვებულებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ.

[illegible]

[illegible]

● „კოლომბის" სტადიონზე — საფრანგეთის ორი ახალი რეკორდი

● შაიბიანი ჰოკეი ბულგარეთშიც მოვიდა

● პარიზი, 21 ივლისი. „კოლომბის" სტადიონზე გამართული ეროვნული ჩემპიონატი საფრანგეთის ორი ახალი რეკორდით აღინიშნა. საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ამასწინანდელი მატჩის გმირმა, 23 წლის ჟ.-კ. ნალემ ზემოხსენებული შეჯიბრების დროს დამყარებულ თავისივე ეროვნულ მიღწევას 400 მეტრზე რბენაში 0,3 წამი ჩამოაკლო. ახლა საფრანგეთის რეკორდია 45,1 წამი. ნალე ახლოს იყო 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებასთანაც, მაგრამ ზედ ფინიშთან მას აჯობა ჟ. ფენუიმ. ორივემ კარგი შედეგი აჩვენა — 20,6. საფრანგეთის მეორე რეკორდის ავტორია პ. კოლნარი, რომელმაც ბირთვი 19,77 მეტრზე ჰკრა. ნუ დაგავიწყდებათ: კოლნარი 41 წლისაა! ქალთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ს. ტელიემ (200 მ — 23,6) და 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კ. ბესონმა (800 მ — 2.05,8. ეს მისი დებიუტი იყო ამ მანძილზე).

● სოფია, 21 ივლისი. ცსკა-ს სპორტული კომპლექსის — „სეპტემვრიისკო ზნამეს" ტერიტორიაზე დაიწყო ბულგარეთში პირველი დახურული საციგურაოს მშენებლობა შაიბიანი ჰოკეისთვის. დარბაზი 3 ათასზე მეტი მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. გაისად ყინულის ამ ახალ მინდორზე პირველი მატჩები გაიმართება.

## „ბალტიის ზღვის კვირეული"

ტრადიციული „ბალტიის ზღვის კვირეულის" აღსანიშნავად ბევრი სპორტული შეჯიბრება ჩატარდა. პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სახეობაში როსტოკში (გდრ) საბჭოთა სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.

აფროსნობა. „ვარსკვლავის" კლასის ნავებით შეჯიბრებაში სამივე პირველი ადგილი საბჭოთა მრბოლელებმა დაიკავეს. საუკეთესო იყო მოსკოველი ბ. ბუდნიკოვი. II ადგილზეა ლენინგრადელი ვ. ვასილიევი, III — მოსკოველი ვ. სკაჩკოვი. „ურჩხულის" კლასში მეორე პრიზიორია არხანგელსკელი ი. ანისიმოვი.

სასტენდო სროლა. ადგილიდან სროლაში ერთბაშად ოთხმა სპორტსმენმა აჩვენა საუკეთესო შედეგი: 200 შესაძლებლიდან 190 ქულა. მათ შორის იყო მოსკოველი ი. გულიოვიც, მაგრამ „პირველ აცდენამდე" დამატებით შეჯიბრებაში იგი ბრძოლას პირველი გამოეთიშა და ამის გამო მხოლოდ IV ადგილი ხვდა. გაიმარჯვა ჰ. ზარტცმა (გდრ). გუნდურ სროლაში წინაა მასპინძელთა ნაკრები — 564 ქულა. მეორე შედეგი აქვს სსრ კავშირის გუნდს — 555.

მოტორბოლა. წიდოვან ბილიკზე შეჯიბრებაში უველაზე სწრაფი იყო ლენინგრადელი გ. ხლინოვსკი. ორი დღის ჯამში მან 29 ქულა დააგროვა. ხლინოვსკის კვალში მიჰყვებოდა II ადგილზე გასული ჰემლერტი (გდრ) — 26 ქულა.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მექსიკის სტადიონებზე










IX campeonato mundial de futbol
MEXICO 70

მექსიკის სტადიონებზე მიმდინარე IX მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი მთელი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იდგა. ამ სურათებზეც იმ ცხარე ბატალიებისა და მასთან დაკავშირებული ამბების მომენტებია აღბეჭდილი.

ზევით, მარცხნივ — ბრაზილიელთა მეკარე ფელიქსი იღებს ძნელ ბურთს ინგლისელებთან მატჩში; მარჯვნივ — ავტოგრაფების მოყვარულნი ავტობუსში მყოფ ფეხბურთელებსაც კი უტევენ;

შუაში, მარცხნივ — საბჭოთა ნაკრების მეკარე კავაზაშვილი იგერიებს ბურთს ურუგვაელებთან შეხვედრის დროს; მარჯვნივ — სუვენირებით ვაჭრობა „აცტეკის" სტადიონზე,

ქვევით, მარცხნივ — სსრ კავშირისა და მექსიკის გუნდების შეხვედრის მომენტი მასპინძელთა კართან; მარჯვნივ — ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ოვერატი (გფრ) თავით იგერიებს ბურთს ურუგვაელებთან შეხვედრის დროს.

ი. მორგულისისა და ა. ხომიჩის ფოტოსურათები.









ორ წელს გაგრძელდა საკავშირო შეჯიბრება-რალი — „ლენინის იდეები იმარჯვებენ“, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ჟურნალი „ზა რულიომ“ და საკავშირო პროფსაბჭოს ავტო-მოტოტურისტთა ცენტრალური კლუბი. მილიონობით ავტო-მოტოტურისტმა მიიღო მონაწილეობა ამ ღირსშესანიშნავ შეჯიბრებაში და, უნდა ითქვას, დიდი ენთუზიაზმით ასპარეზობდნენ კიდეც.

დაძაბული ბრძოლები დამთავრდა და ჟიურიმ შედეგები შეაჯამა. ამ ცოტა ხნის წინ თბილისში მოვიდა დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ავტო-მოტოტურისტები დაჯილდოვდნენ ოქროსა და ვერცხლის ავტო-მოტოსაიუბილეო მედლებით. ოქროს მედლები მიიღეს ვ. რაზმაძემ, ე. ტიმჩენკომ, შ. ტაბატაძემ, მ. ხაჩოევამ და ვ. ნავროზაშვილმა. ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ტ. გლოველმა, ლ. ტიმჩენკომ, ნ. დვალმა, ჯ. ცერცვაძემ, რ. კანანოვმა, ვ. ტიმჩენკომ, ა. მახარობლიძემ, ვ. პეტროსიანმა, დ. მერაბიშვილმა, ნ. შატაკიშვილმა, ე. კაპიანაშვილმა, ი. ახალკაცმა, ვ. ბრიკსინმა, ა. პირზადიანმა, ე. მნაცაკანოვმა, ლ. პირზადიანმა, მ. ბრიკსინმა და ო. კორნილიევმა.

# გიწვევთ ბუნების წიაღში

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ავტო-მოტო-ველოტურისტები გაცხოველებით ემზადებიან საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისთვის. მათ გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ ლაშქრობები იმ ადგილებში, სადაც იბრძოდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები: სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვ. კიკვიძე და „ციმბირის პაპად“ წოდებული ნ. კალანდარიშვილი. აქ დაიდგმება ქართული მარმარილოს დაფები, აღინიშნება კალანდარიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელოვანი საქმეები.

მიმდინარეობს და კვლავ გაგრძელდება როგორც პირადი, ისე ჯგუფური ლაშქრობები დიდ მანძილებზე. გარდა ამისა, [illegible] ეწყობა ორდღიანი ლაშქრობები ქალაქგარეთ, [illegible].

ყველას, ვისაც სურს და პირადი ტრანსპორტი აქვს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ავტო-მოტო-ველოლაშქრობაში. მათ ვიწვევთ ჩვენს კლუბში, რომლის მისამართია თბილისი, პლეხანოვის პრ. № 5. აქ ყოველი მოყვარული მიიღებს რჩევა-დარიგებას და ამომწურავ პასუხს მისთვის საინტერესო საკითხებზე.

**ვ. ნავროზაშვილი,**
ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტო-ველოტურისტთა სექციის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.

* * *

**სურათებზე:** საიუბილეო სამახსოვრო ოქროს მედლის წინა მხარე; დაჯილდოებულთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ვ. რაზმაძე, ა. პირზადიანი, ვ. ნავროზაშვილი, ე. ტიმჩენკო და ვ. ბრიკსინი.

ვ. ნაზაროვის ფოტო.






◆ **სარვაში,** 22 ივლისი. უნგრეთის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობს პიატიგორსკელი საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია — 9,5 ქულა 11-დან. II ადგილზე მყოფი ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება.

◆ **ამსტერდამი,** 22 ივლისი. აქ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „იბმ“ — ახალი ლიდერი გამოჩნდა: VII ტურის შემდეგ 5,5 ქულით დაწინაურდა ვ. ულმანი (გდრ), რომელმაც ზედიზედ ორი გადადებული პარტია მოიგო (VI ტურის შეხვედრაში დაამარცხა ჰოლანდიელი რ. ჰარტოგი და VII ტურის პარტიაში — ე. გელერი). ბ. სპასკის 5 ქულა აქვს (ყაიმი ბულგარელ გ. ტრინგოვთან). ულმანთან გათანაბრება შეუძლია ლ. პოლუგაევსკის, რომელსაც 4,5 ქულა (VII ტურში დაამარცხა ჰოლანდიელი ლ. იონგსმა) და ერთი გადადებული პარტია (იუგოსლაველ ს. გლიგორიჩთან) აქვს.

◆ **დებრეცენი,** 22 ივლისი. ერთი ტური დარჩა აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე. ჯერჯერობით წინ არიან უნგრელი დიდოსტატი ი. ბილეკი და საბჭოთა საერთაშორისო ოსტატი ვ. სავონი — 9,5-9,5 ქულა 14-დან.

◆ **ბუენოს-აირესი,** 22 ივლისი. აქ სტარტი აიღო საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელშიც ორი საბჭოთა მოჭადრაკე (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი და უკრაინის ჩემპიონი ვ. ტუკმაკოვი) მონაწილეობს. I ტურში სმისლოვმა ყაიმით დაამთავრა პარტია არგენტინელ ს. შვებერთან, ტუკმაკოვი კი თავისუფალი იყო: მისმა მეტოქემ რ. ფიშერმა (აშშ) ჩამოსვლა დააგვიანა. იგი არც II ტურისთვის გამოჩენილა. ამ დღეს სმისლოვმა გადადო პარტია არგენტინელ მ. კინტეროსთან, ხოლო ტუკმაკოვმა — შვებერთან. ტურნირში მონაწილეობენ, აგრეთვე, ო. პანო, მ. ნაიდორფი (ორივე — არგენტინა), ა. ო'კელი (ბელგია), ფ. გეორგიუ (რუმინეთი), ლ. საბო (უნგრეთი), ს. რეშევსკი (აშშ) და სხვ. (სულ 18 მოჭადრაკე).




# ვინ რას უმიზნებს?

## პირველი წრის სტატისტიკა

*სსრ კავშირის XXXII საფეხბურთო ჩემპიონატის ეკვატორი გავლილია. ჩატარებულია პირველი წრის 136 კალენდარული მატჩი, გატანილია 271 გოლი, მათ შორის, 16 — პენალტით.*

*გათამაშებას ჰყავს ლიდერები. ესენი არიან „დინამოს“ 3 გუნდი: მოსკოვისა — 22 ქულა, თბილისის და კიევისა — 21 ქულა თითოეულს. არიან უმაღლესი ჯგუფიდან პირველში გადასვლის კანდიდატებიც, რომლებიც ჯერჯერობით ბოლო სამ ადგილზე იმყოფებიან: „ფახთაქორი“ — 12, „ჩერნომორეცი“ — 11 და ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 9 ქულა.*

✦ ყველაზე მეტი ბურთი (27) გაიტანეს მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც გ. ფედოტოვის სახელობის პრიზის უმთავრესი პრეტენდენტები არიან. 23-23 გოლია მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს ანგარიშზე.

✦ გატანილი და მიღებული ბურთების ყველაზე კარგი სხვაობა აქვთ (უკრაინულ ჟურნალ „სტარტის“ პრიზი) ცსკა-ს და მოსკოვის „დინამოს“: +13 თითოეულს.

✦ დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი შეხვედრა მოიგეს მოსკოვის გუნდებმა — „დინამომ“ და „სპარტაკმა“ (3-3).

✦ პრიზი „ალმის ღირსებისთვის“ დაწესებულია გუნდისთვის, რომელიც ყველაზე მეტ მოთამაშეს მოუმზადებს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს. კიევის დინამოელებმა დააგროვეს 360 ქულა, მოსკოვის სპარტაკელებმა — 240, ხოლო თბილისის „დინამომ“ — 235.

✦ როსტოვის არმიელთა გუნდი დაწინაურდა „გამარჯვებისადმი სწრაფვის პრიზის“ მოპოვებისთვის ბრძოლაში. როსტოველებმა 3 მატჩი მოიგეს, სადაც ისინი თავდაპირველად აგებდნენ.

✦ ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვეს როსტოველმა მეკარეებმა — 7. ეს ნიშნავს, რომ არმიელები თითო მატჩში 0,5 ბურთსაც არ ღებულობდნენ თავიანთ კარში. ყველაზე მეტი ბურთი გატანილია ორჯონიკიძის „სპარტაკის“ კარში — 26.

✦ ყველაზე მეტი მატჩი ისე, რომ თავის კარში არ გაუშვიათ ბურთი, ჩაატარეს მოსკოვის „დინამომ“ და „ზარიამ“ — 10 თითოეულმა. ორჯონიკიძის „სპარტაკი“ ერთადერთია, რომელსაც ასეთი თამაში არა ჰქონია: დებიუტანტის კარში ყოველ შეხვედრაში გაჰქონდათ ბურთი.

✦ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია (გაზეთ „ტრუდის“ პრიზი) მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი კოზლოვი — 11 ბურთი (2 — პენალტით). მოსკოვის სპარტაკელმა ჰუსაინოვმა გაიტანა 8 გოლი, თბილისელმა გ. ნოდიამ — 7.

✦ სულ პირველი წრის მატჩებში უმაღლეს ლიგაში ითამაშა 379 ფეხბურთელმა. მათგან 44 ყველა მატჩის მონაწილეა.

✦ ყველაზე ნაკლები მოთამაშე (18) გამოიყვანეს ქუთაისელებმა. მოსკოვის „ტორპედოს“, „ზენიტისა“ და „შახტიორის“ შემადგენლობაში თამაშობდა 25-25 ფეხბურთელი.

✦ მოსკოვის გუნდების „დამოუკიდებელ“ ტურნირში წინ არიან სპარტაკელები — 4 ქულა (ბურთების სხვაობა 7—3). ამდენივე ქულა აქვთ ტორპედოელებს ბურთების სხვაობით 3—3. პირველ წრეში გამარჯვებულებმა — დინამოელებმა თავიანთი ქალაქის გუნდებთან აიღეს მხოლოდ 2 ქულა (2—3).

✦ თუ ავიღებთ უკრაინის 4 გუნდის ასეთივე ტურნირს, აქ უდავო უპირატესობა აქვთ კიეველებს — 6 ქულა. „ჩერნომორეცმა“, „ზარიამ“ და „შახტიორმა“ ერთმანეთს შორის ფრედ ითამაშეს და დააგროვეს 2-2 ქულა.

✦ ყველა მწვრთნელმა გამოიყენა მატჩის მსვლელობაში მოთამაშეთა შეცვლის უფლება და მინდორზე ახლად გამოსულმა მოთამაშეებმა გაიტანეს 18 ბურთი. აქედან 5 მოდის მოსკოვის „სპარტაკის“ ანგარიშზე.

✦ თავიანთი უფროსი კოლეგების მსგავსად, პირველ წრეში დაწინაურდნენ მოსკოვის „დინამოს“ დუბლიორები: 16 მატჩში მათ დააგროვეს 25 ქულა. სათადარიგო გუნდების ტურნირის საუკეთესო სნაიპერია აგრეთვე ახალგაზრდა დინამოელი პისკუნოვი — 11 გოლი.

✦ წლევანდელ ჩემპიონატში ჯერ არც ერთ მოთამაშეს არ შეუსრულებია „ჰეტ-თრიკი“, ესე იგი, ერთ მატჩში არ გაუტანია 3 (ან მეტი) ბურთი.

✦ საკუთარ კარში გატანილი „ავტოგოლების“ ავტორები არიან ი. ბაბაევი („ნეფთჩი“), კრასნოვი („ტორპედო“, მოსკოვი) და კოჩიევი („სპარტაკი“, ორჯონიკიძე).

✦ უმაღლეს ლიგაში მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევების „რეკორდი“ დამყარებულია მოსკოვის გუნდების — „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ მატჩში. მოსკოველმა მსაჯმა ი. ლუკიანოვმა მინდვრიდან გააძევა სპარტაკელი ლოგოფეტი და ტორპედოელები ლენიოვი და გერშკოვიჩი.

✦ მიმდინარე ჩემპიონატში დანიშნული 20 პენალტიდან მეკარეებმა მხოლოდ ორჯერ შეძლეს ბურთის მოგერიება. ქუთაისელმა გოგიამ ლისენკოსგან აიღო ბურთი „ჩერნომორეცთან“ მატჩში და მოსკოვის ტორპედოელმა ბანიკოვმა — ფედოტოვისგან ცსკა-სთან თამაშში. ბაქოელმა გაჯიევმა 11-მეტრიანი მიზანს აცდინა მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრაში. ყველა სხვა პენალტი გამოყენებულია.

# „ა“ კლასის ჯგუფებში

გუშინწინ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები საკავშირო პირველობაზე „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. I ჯგუფი: „პამირი“ (დუშანბე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 5:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „კარპატი“ (ლვოვი) 1:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 2:2, ასკ (ხაბაროვსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:1, „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — ასკ (კიევი) 2:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:1, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ალგა“ (ფრუნზე) 0:0, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0. II ჯგუფი (II ზონა): „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 0:0, „მეტალურგი“ (ტულა) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:0, „ვოლგა“ (კალინინი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 4:0, „სატურნი“ (რიბინსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 0:2, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 4:1, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 0:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (ბათუმი) 3:1, „ვოლგა“ (გორკი) — „დილა“ (გორი) 2:0.

# მეტალურგთა ზეიმს მიუძღვნეს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“ ფიზკულტურელებმა მეტალურგის საკავშირო დღეს ბევრი საინტერესო ღონისძიება გამართეს. მათ ქართულ ჭიდაობაში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად თელაველი სპორტსმენები მოიწვიეს. ანგარიშით 4,5:3,5 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ფეხბურთში სპორტკლუბის ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთს შეხვდნენ პირველ და მეორე ჯგუფებში გამარჯვებულნი: მილსაგლინავი საამქროს და ბრძმედშემკეთებელთა გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს შემკეთებლებმა.

ფეხბურთის მატჩის შესვენების დროს ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნურ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე, მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში.

**რ. ბაბრიჭიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

რუსთავი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

25 ივლისი

სსრ კავშირის თასის გათამაშება
(ნახევარფინალი)



„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 23-24 ივლისს; აბონემენტებზე — 23-24 ივლისს 12 საათიდან; საერთო გაყიდვა — 25 ივლისს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 08246